№ 150 ივლისი 16, პარასკევი — 1893 — ივლისი 16, პარასკევი № 150

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადების დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეთორმეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებლიი საგანგებო საქმეთა მოხელე უგანათ. თ. პ. ა. გრუზინსკი გაემგზავრა კახეთს, სადაც გაგზავნილ იქმნა იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად არის ხალხი მოუსავლობით გაჭირვებული.

*** საქართველოს სამრევლო სასწავლებელთა საბჭომ, რომლის თავმჯდომარედ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორია, მისწერა ტფილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის კრებულს, დააჩქარეთ ახლ შენობის აგება სკოლისათვისაო. ამ მიწერილობის ასასრულებლად სამრევლო სკოლის კომიტეტმა უკვე დაანგრევინა ძველი შენობა ქვაშვეთის ეზოში და ახალ შენობის აგებას შეუდგა, სადაც ორი ოთახი იქმნება, ერთი სკოლისათვის და ერთიც წიგნთსაცავისათვის. ამ შენობის აგება გაცემულია იჯარით 1800 მანეთად. კომიტეტის თავმჯდომარედ ქვაშვეთის ეკკლესიის დეკანოზი მამა დ. ჭრელაშვილია, წევრებად: იმავე ეკკლესიის მეორე მღვდელი მამა გამდლიშვილი, მესტამბე ექვთიმე ხელაძე და ბ-ნი მარდეროსო, რომელიც გამგედ არის პოპოვის ჩაის საწყობისა გოლოვინის პროსპექტზედ.

*** 14 ივლისს ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა საჯარო ვაჭრობა ვერის ხიდის შეკეთების იჯარით გაცემისა. იჯარა აიღო ტფილისის მოქალაქემ მელიქოვმა 5220 მანათად.

*** 22 ივლისს ტფილისის „სამუსიკო კრუჟოკში“ საღამო გაიმართება ყმაწვილებისათვის. საღამოზედ იქმნება ბუნდოვანი სურათები და შემდეგ სხვა-და-სხვა საყმაწვილო თამაშობა: საქანელი, ბურთაობა და სხვ. დასაწყისი 6 საათზეა.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ოქროპირ ტყეშელასაგან სამი მან. სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ამ ფულისა გვქონდა 325 მან. 40 კ. სულ შესდგა 328 მან. 40 კ.

*** 14 ივლისს ტფილისის პოლიცმეისტერის ბრძანებით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ქალაქის მეათე ნაწილის პოლიციელი ვასილ ივაშჩენკო, რომელმაც დაისაკუთრა ადგილი ქალაქის რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა.

*** დიდი ხანი არ არის, რაც ტფილისში დაიწვა მთელი რიგი დუქნებისა, რომელიც ეკუთვნოდა სომეხ-გრიგორიანთა ღვთის-მშობლის ეკკლესიას, მიხეილის ქუჩაზედ. დუქნები დაზღვეული არ იყო ცეცხლისაგან. ამ დუქნების შემოსავლით ინახებოდა სამრევლო დედათა სკოლა, სადაც ყოველ წელიწადს სწავლობდა 100-მდე ღარიბი ქალი. ამ ჟამად იმავე ადგილას, სადაც დუქნები დაიწვა, ქ-ნი კეკელა თანდოკიანი აშენებს თავის ხარჯით ორ სართულიან სახლს, რომელიც დაჯდება 10,000 მანათი. ამ სახლის შემოსავალი, ქ-ნ თანდოკიანის სურვილით, მოხმარდება ზემოხსენებულ სკოლას. სახლი მზად იქნება 1 ენკენისთვეს.

*** ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ დედათა საზოგადოება 1 ენკენისთვიდგან აარსებს ტფილისში ახალს პირველ დასაწყის სკოლას, ოთხის განყოფილებით (ორი რუსული, ერთი ქართული და ერთიც სომხური). სკოლაში ასწავლიან ქართულსა, სომხურს და რუსულს ენებს. განზრახვა აქვთ უმთავრესი ყურადღება მიაქციონ ყმაწვილების აღზრდას და ჯან-საღობას. სკოლა დაარსდება 40 ყმაწვილისავის ორთავე სქესისა, ძველ არსენალის ქუჩაზედ, ტერ ასატუროვის სახლში № 15. სკოლის გამგედ იქმნება კნეინა მ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, მასწავლებლად ქართულსა და სომხურ განყოფილებაში ქ-ნნი ქართველიშვილისა და ტატოსოვისა. ყმაწვილებს მიიღებენ 20 აგვისტოდგან.

*** მომავალ 2 მარიამობისთვიდგან 27-დე ქ. გორს დანიშნულია ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია, რომელმაც იქ უნდა გაარჩიოს 51 საქმე.

*** ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა საარჩევანო კრება დანიშნა 26 აგვისტოს. ბანკის ზოგიერთ წევრთ ეს დრო ძლიერ უხერხულად მიაჩნიათ თურმე და თხოვნა წარუდგინეს კომიტეტს, საარჩევნო კრება ოქტომბერზედ ადრე ნუ იქმნება დანიშნულიო. ეს თხოვნა ზედამხედველმა კომიტეტმა უნდა განიხილოს და ამიტომ ჯერ გადაწყვეტილი არ ითქმის, როდის მოხდება მომავალი საარჩევანო კრება ქუთაისის ბანკისა.

*** ოსეთი: თითქმის ეს ორი წელიწადი სრულდება, რაც ბარის ოსეთში, საქონლის ჭირის გამო ყველა სოფელი შეკრულია. წელს, ამავე მიზეზით აღარ აძლევდნენ ნებას ცხვრის [illegible] გაერეკნათ საზაფხულოდ. ამიტომ სიცხის უჩვევი ცხვარი ძლიერ დაზარალდა; ახლა-კი, როგორც იყო,

# ფელეტონი

## საკუთარი რამე-რუმე

(წერილი პროვინციიდან)

მივალ-მოვალ-რა გონების თვალს ჩემს გარშემო ცხოვრების დენას, დავჭმუნდები, გულზე სევდა დამეცემა, სული შფოთვას დამიწყებს. მინდა ეს ჭმუნვა, ეს სევდა, ეს შფოთვა სულისა ქაღალდზე გადმოვწერო და მკითხველს გავუზიარო; მაგრამ ვერ მომიხერხებია. ამაოდ ჩადის კალამი საწერელში და ამაოდვე ამოდის იქიდან. ჩემს წინ მდებარე ქაღალდი ისევ ისე სპეტაკად და სუფთად გამოიცქირება, მაშინ, როდესაც ირგვლივ ათასი ვაგლახი და უბედურება ტრიალებს. ვემდური ჩემს უღონო თავს, ვესაყვედურები ჩემს სუსტ კალამს, რომ ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ მოუხერხებია შესაფერის სიტყვით აღნიშნოს ყოველივე ის, რაზედაც გული მტკივა, რითაც სული იქენჯნება. ვგრძნობ, ვერა ვარ მოხერხებული კაცი, რომ ამ უხერხულობაში ხერხითა და უნარით გავიტანო თავი. მრწამს, რომ სრულიად საია კაცი ვარ, საია კალმით აღჭურვილი და მეტი რა გზა არის, რომ ასეთი კაცი სათო ამბების საამდ გამოაშკარავებასა და გამოქვეყნებას არ დავსჯერდე. დეე, ჰკუით დევ-გმირი, გონებით გოლიათი და კალმით ბუმბერაზი შეექიდოს ყოველსავე იმას, რომლისაგანაც მე დამფრთხალი და შეშინებული გავრბივარ.

არ ვიცი, ჩემო ფას-დაუდებელო მკითხველო, სხვაგან როგორ არის, ხოლო ჩვენში (დაფარვა არ შეიძლება, უნდა ვსთქვა, რადგანაც „დიდი ლხინია ჭირთა თქმა“) აურიცხველი დარაჯია ტვინისა, დაუთვლელი მზვერავია გონებისა. ეს ისინი გახლავთ, რომელნიც ამბობენ: „ჩვენ ვართ მარილნი ქვეყნისანი, ჩვენ ვართ ნათელნი სოფლისანიო“. სამწუხაროდ მლაღადებელნი ამ ძალუმის სიტყვებისა კრიჭაში ჩასდგომიან ქვეყნის გონებრივ ზრდასა და წარმატებას, მუხრუჭი მოუჭერიათ სინათლის გამავრცელებელთათვის და სრულიად გულ-დამშვიდებით ჰგონებენ, რომ პირ ნათლად ვემსახურებით საქვეყნო საქმესაო. რასაკვირველია, რომ ასეთის სამსახურისათვის ისინი პასუხს გასცემენ შთამომავლობას და სასტიკად იქნებიან გასამართლებულნი, მაგრამ, მე რომ იმათი შუბლმაგრობის ამბავი ვიცი, არც ერთ ამას აინუნში არ ჩაიგდებენ, რადგანაც იმათთვის მხოლოდ აწმყო არსებობს, აწმყოთი ცხოვრობენ და იმის შესაფერად ჰრიან და ჰკერვენ...

აქ ძალა-უნებურად ვანებებ თავს ამ მცირე წინასიტყვაობას და ისევ ჩემს „რამე-რუმეს“ მივმართავ. ხომ მოგეხსენებათ, ბატონო, თუ რამდენი ბუკი და ნაღარა ვაყვირეთ სასოფლო სკოლების დაარსების გამო ჩვენში! ხომ იცით, რა იმედით და სასოებით შევყურებდით ამ საერო განათლების საძირკველის ჩაყრას! ხომ არ დაგვიწყებიათ, რა ნაირად აღფრთოვანებულნი და აღტაცებულნი ვიყავით, როცა პირველად დავინახეთ სკოლაში თავ-მოყრილი გლეხთა შვილები! ახლა? ახლა ის, რომ მაშინდელ ჩვენ იმედსა და სასოებას უდროვოდ შეეკვეცაფრთები, მაშინდელი ჩვენი აღტაცება უბრალო აღტაცება გამოდგა და საქმე სასინანულოდ გაგვიხდა. ვინ მოიფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა, თუ ეს ასე იქნებოდა, თუ მაშინდელი ჩვენი აღფრთოვანება სრულიად უდროვო და უადგილო იქნებოდა; ან-კი როგორ შევეძლო ყოველივე ეს გაგვეთვალისწინებია, როცა არა გვჯეროდა და არა გვრწამდა, თუ სკოლას, თავის პირდაპირ დანიშნულებას გარდა, სხვა პირ-სარჩულიც დაედებოდა. მაგრამ მწარედ მოვსტყუვდით. ჩვენი იმედი ქვიშაზე აგებული შენობა გამოდგა მხოლოდ. მერე რა დაგვატყდა თავზე ასეთი უნუგეშო ამბავი? აკი მოგახსენეთ, ამის აღნიშვნა არ ეხერხება ჩემ სუსტ კალამს-მეთქი. მე ამბავს მოგახსენებთ ისე, როგორც თითონ მინახავს და გამიგონია. არც მეტს, არც ნაკლებს, არაფერს ვიტყვი. ხოლო დანარჩენი თქვენი საქმეა, როგორც გნებავდეთ, ისე იგულისხმეთ და იგულისმოდგინეთ.

მოგეხსენებათ, რომ სასოფლო სკოლებს ყოველ წლივ შინჯავენ, ათვალიერებენ. წელსაც, რასაკვირველია, ასე მოხდა. დაათვალიერეს სკოლები იმათ, ვისაც ამისი ხალისი აქვთ. ზოგი დაიწუნეს და ზოგი მოიწონეს. დაწუნებულ სკოლის ოსტატს საყვედური უთხრეს და შერისხეს, მოწონებულისას ქება-დიდება შეასხეს, მადლობა უბრძანეს. და უკუ იქცნენ სახლად თვისსა. მე მაშინვე ცნობისმოყვარეობამ ამიტანა (მაშ რაღა გაზეთის მოამბე ვარ, თუ ცნობისმოყვარე არ ვიქმნები!). მინდოდა გამეგო, რა დაიწუნეს და რა მოიწონეს. ავდექი და პირველად მოწონებულ სკოლისაკენ გავეშურე, მივედი და აი რა ღირს-შესანიშნავი სურათი ვნახე: ოსტატი უფროსის მოწონების გამო გაბრუებულა. იმდენად აღტაცებულია, რომ ამა სოფლისა იღარაფერი გაეგება. უხარია, შრომა დამიფასეს, ნაშრომი მომიწონესო, და ამაყობს. ცა ქუდად ეპატარავება, დედა-მიწა ქალამნად აღარ ჰყოფნის... დაიწყო გაკვეთილიც. მე ერთიან სმენად და ყურად გადავიქეცი. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, რომ მოსაწონი ვერაფერი ვნახე. შეგირდებს არაფერში ხალისი, არაფერში სიცოცხლე არ ეტყობათ. არ ვიცი, ძალად მორეკილნი არიან სკოლაში, თუ თავის ნებით მოსულნი. პასუხს ზანტად და უაზროდ იძლევიან, რუსულსა და ქართულს ერთმანეთში დომხალივით ურევენ. გაზეპირებულ ფრაზებს შეუგნებელ-შეუთვისებლად, თუთიყუშივით იმეორებენ. რაღა ბევრი გავაგრძელო, გოდალის შენებისა და ენათ შერევნის ამბავი მომაგონდა. გათავდა ეს შეგირდთა გამთავებელი და მომნელებელი გაკვეთილი და მასწავლებელს ვკითხები:

— მე მითხრეს, რომ ეს სკოლა მოიწონეს. მართალია?

— რატომ არ უნდა იყოს მართალი!?

— იმიტომ, ჩემო კარგო, რომ აქ მოსაწონი არაფერი არ არის.

— Ошибаетесь, აქ მოსაწონი ის არის, რომ ყველაფერი თავის წეს-რიგით მიდის. რუსულებ და ქართულებ წერა-კითხვის სწავლებას თითქმის ერთ და იგივე დროს ვიწყებ. მერე ყველა საგნებს რუსულებ ვასწავლი. ქართული პირველ განყოფილებას იქით საჭირო აღარ არის.

დათიკო ვერმიცანაშვილი

მისცეს ცხვრის ფარების მთაში გარეკის ნება პატრონებს. მაგრამ რადა დროს, ბევრი-ბევრი, ცხვარი მთაში სამი კვირა-ღა დარჩეს.

ბარის-ოსებში ზოგან ნაგვიანევ სიმინდებს ჯერ ისევ სთოხნიან, თან თიბვაა, ქერისა და პურის მკაც ზედ მოჰყვა. ამიტომ დღიური მუშა ძვირია, მანეთი—ექვსი აბაზი. საზოგადოდ ბარის ოსეთში წელს გრილი ზაფხულია.

სოფ. უკდგარონი (კავკავის მაზრა): ამ თთვის პირველ რიცხვებში აქ ერთმა ახალგაზდა ქრმიანმა დედაკაცმა თოფით თავი მოიკლა. როგორც ამბობენ, მიზეზი თურმე ის იყო, რომ სახლში ცუდად ექცეოდნენ, სტუქსავდნენ და სცემდნენო. ყადგარონში ძლიერ გახშირებულია წითელა და ყბაყურა და ძალიან ზარალსაც იძლევა. ბარის ოსეთში თითქმის ყველგან არის მოდებული წითელა. სოფელ ყაყადურში ყელჭირვებამ იჩინა თავი და მუსრს ავლებს ყმაწვილებს.

⁂ ივლისის 14 დიდუბის მახლობლად, ღამის 10 საათზე, ვიღაც მტკვარში ბანაობდა და დაირჩო. დამრჩვალის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე დღეს მთა-წმიდის მოედანზე ანნა იმჩენოვის სახლთან იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ 14 ივლისს სოფ. მავცაკრას მცხოვრებელი აბდულ-ოღლი ცხენს აბანავებდა, მტკვარში გადავარდა და დაირჩო.

⁂ ამავე დღეს ელისაბედის ქუჩაზე კაპიტნის ცოლის მარიამ ანდრეევის სახლში თავი მოიკლა პორუჩიკმა მიხეილ ილიანოვმა. მიცვალებულს სავიზიტო კარტოჩკა უპოვნეს, [illegible] ლი ვარ ჩემის უმაღლესის მთავრობისა და გენერალ კლიუჩევსკისა, პოლკოვნიკის კაზიშევსკითურთ. ვსთხოვ ამათ, ჩემი სიკვდილი არავის დააბრალონ. ჩემი წრეს გადასული ცუდი მდგომარეობა მაიძულებდა ასე მოვქცეულიყავო.

⁂ წარსულ ივნისის შვიდს ქვრივმა ავლადოვისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ მაქსიმე სალარაძემ 222 მან. ნივთეული მომპარაო. დანაკარგი ნივთეული 14 ივლისს იპოვნა ბოქაულის თანაშემწემ გლებოვმა ფეთხაინის გორაზე და დამნაშავეც შეიპყრეს. დამნაშავემ აღიარა თავისი დანაშაული.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ზესტაფონი**, 11 მკათათვეს. ჭიათურის რკინის გზის შტომ დასაწყისი თავის არსებობისა სამის კაცის მსხვერპლით აღნიშნა. მაგრამ დღევანდელმა დღემ-კი, ცოტას გაწყდა, უფრო დიდი უბედურება არ დაატრიალა. განგებამ სიკვდილს პირიდგან გამოჰგლიჯა ყველასგან პატივცემული და საყვარელი ახალგაზდა ექიმი იოსებ ჯინორიძე. კვირაზე მეტია, რაც აქაური მაზრის ექიმი, ტერლეცკი, დროებით სხვაგან არის წასული და მისს თანამდებობას ასრულებს აქ მყოფი თავისუფალი ექიმი ჯინორიძე. გუშინ-წინ ს. ჭიათურის ერთ მახლობელ სოფელში მკვდრის გასაჭრელად წავიდა. იქიდგან დღეს დილას უკვე რკვილაში დაბრუნებულა, სადაც სამუშაო მატარებელი შეხვდა, ცარიელის ვაგონებით შორაპანში მომავალი. ბოლო ვაგონში ჩაჯდა ინჟენერი სიმბერგი, რომელსაც თან ქალებიც ახლდნენ; მას მოშორებით სხვა ვაგონში ჯინორიძემ დაიჭირა ადგილი; მას აქედ კიდევ აქაური მაზრის ფერშალი მამალაძე ჩაჯდა, რომელიც ჯინორიძეს მკვდრის გაჭრაზე მიჰყვებოდა. დანარჩენს ვაგონებში კიდევ მუშებმა, თუ ისე მგზავრებმა, მოიკალთეს.

საათის ექვსზე მატარებელი რკვიიდგან დაიძრა. მემაშინემ ლოკომოტივი ისე ჩქარა წამოიყვანა, რომ ვაგონების თვლები რელსებს თითქმის არც-კი ეკარებოდა. ვაგონები გულშემზარად ერთმანეთს ეხლებოდა, თავზე გადახტომას ლამობდა. მგზავრები შიშის ზარმა აიტანა. სულ-განაბულები უცდიან—აცა ახლა დაიმსხვრევა მატარებელი, აცა ახლაო. ბოლოს, შიშმა ისე აიტანა ყველანი, რომ ყვირილი მორთეს—გვიშველეთ, ნელა წაიყვანეთ, თორემ დავიღუპეთო. სანამ მათს კანონიერს თხოვნაზე პასუხს გასცემდნენ, ქალების კივილი, კაცების ღრიალი, ვაგონების ჯახა-ჯუხი, საზარო ხმა ვაგონების მტვრევისა ერთმანეთში აირია. ყველას ამას ზედ დაერთო—„მიშველეთ“, „ვაიმე“, „მოვკვდი“, კვნესა, ღრიალი. ერთის სიტყვით ნამდვილი ღვთის რისხვა დატრიალდა. ყველა დაფაცურდა, უბედურების მსხვერპლებს პირდაპირ დაუწყეს ცქერა, გონება მოიკრიფეს. ოთხი ვაგონი ერთიანად დაიმსხვრა. ოთხს მუშას—ზოგს თითი დაშავებია, ზოგს ფეხი, ზოგს თავი, სხვებს ცოტა რამ სტკენიათ. საზოგადოდ-კი ყველას მსუბუქად დაშავება ეტყობოდა. ფერშალმა გადახტო-[illegible] ჯახა კლდეს, რომ კარგა ხანს გონება ვერ მოიკრიბა. მაშინადვე ექიმისკენ გაქანებულა, ეგონა დაშავებულებს შველისო. აბა რას მოიფიქრებდა, რომ თვითონ ექიმი საექიმო გახდებოდა. თვალ-წინ გულ-შემზარავი სურათი წარმოუდგა: თავ-პირ დასისხლიანებული, გულ-წასული, ვაგონების ნამტვრევებ ქვეშ იწვა, მარჯვენა ხელის მოძრაობის ღონე წართმეოდა, ნახევარი შუბლი და ცალი თვალი მაზუტში ამოსვროდა—ეტყობოდა ვაგონის თვალი სახეზედაც გახახუნებოდა, ამიტომ თვალ ზემოდაც კანი გასჭროდა და სისხლი მისდიოდა. მოარბენინეს წყალი, როგორც იყო, მოასულიერეს, და ფერშალი დაშავებულ მკლავის დაარტახებას შეუდგა, რომელზედაც ვაგონის თვალს გადაევლო და ცოტათი დაეჩეჩქვა. მაგრამ ხელდახელ ვერაფერი იშოვა. ბოლოს საცვალი იშოვა და მკლავი იმით შეუმაგრა. მერე დააწვინეს ვაგონზე და შორაპანში ჩამოიყვანეს, სადაც ჭიათურის გზაზე დაშავებულთათვის პირველ შემწეობის აღმოსაჩენად დაარსებულ აფთიაქისაგან საჭირო არტახები გამოიტანეს და ხელი რიგიანად შეუხვიეს. ამასობაში ზესტაფონიდგან ახალგაზდა ექიმი ივ. ელიაშვილიც მოეშველა, აქვე მოუსწრო პოლიციის ბოქაულმა ბეს. ქავთარაძემ. ღამის თერთმეტ საათზე უკვე ზესტაფონში ჩამოიყვანეს. აქაურის აფთეკისაგანაც საჭირო წამლები, ყინული თუ სხვა რამ მოსალონიერებელი საშუალებანი მიაწოდეს და საქონლის მატარებლით დაუყონებლივ ქუთაისის სამკურნალოში გაისტუმრეს.

შორაპნიდგან ჩამოყვანილ ავადმყოფს ზესტაფონის რკინის სადგურზე ნაცნობები, მეგობრები, გულშემატკივარნი მოეგებნენ. ყველას სახეზე მწუხარება, შიში ეხატებოდა—ვაი თუ საყვარელ ექიმს, ძვირფას მეგობარსა და კაცს სასიკვდილო მარცხი რამ შეემთხვაო. ბ-ნ ელიაშვილმა ყველას ნუგეში სცა,—საშიშარი არა სჭირს რაო. ავადმყოფს—ალბად ქვაზე დაურტყავს თავი—კეფაზე ხორცის კანი აქვს ცოტათი დაფხაჭნილი, ხორცის კანივე აქვს თვალ-ზემოდაც ცოტათი დაშავებული. თავი-და-თავი, მარჯვენა მკლავის და მხრის შუა სახსარი აქვს დაჩეჩქვილი, ზედ გადავლილ ვაგონის თვლისაგანო. გარეთგანი ჭრილობა არა ეტყობოდა-რა. ცოტათი მუცელსაც იტკივებდა. უბედურობის დროს გულწასულისათვის წყალი რომ უსხამთ მოსასულიერებლად, ალბად მაშინდელი გაცივებული იქმნებაო, სთქვა ბ-ნმა ელიაშვილმა. საზოგადოდ, იმედია, უოპერაციოდ, დაუზიანებელი გადარჩესო. ღმერთმა ინებოს!

ბოლოს, არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ ჭიათურის რკინის გზის შტოზე დროებით მისვლა-მოსვლის გამგეობას იმ უწესოებისა და უთავბოლობის გამო, რომელიც ამ შტოზე სუფევს. სანამ გზა დამთავრდებოდეს, გარეშე ხალხს ამ გზით სიარული აღკრძალული უნდა ჰქონდეს და, რაკი ნებას აძლევენ, მგზავრის სიცოცხლე, ცოტად თუ ბევრად, უზრუნველ ყოფილი უნდა იყოს, ღვთის ანაბარად არ უნდა მიაგდონ. ზოგან ლიანდაგზე რელსები არც-კია ხეირიანად დამაგრებული, და ასეთს გზაზე ლოკომოტივი ისე ჩქარა გარბის, რომ კაცი თვალს ვერ ასწრობს. ამ მიზეზით ლოკომოტივის და ვაგონების რელსებიდგან გადავარდნის ამბავი „არ ახალია, ძველია“. კიდევ კარგი, რომ ლოკომოტივის აწევა და ისევ რელსებზე დადგმა რამდენსამე კაცს შეუძლია!

ადგილ-მდებარეობაზედ ხომ ნურას გვკითხავთ! ცალის მხრით კლდე, მეორეს მხრით—თავქვე დაშვებული, მისხლეტილი კლდევე, რომლის ძირს, შორს, მდ. ყვირილა ლომსავით მიღრიალებს, თითქო ყველაფრის შთანთქმას ჰლამისო. შიგ დაჩეხილს კაცსა სიცოცხლის იმედი არ უნდა ჰქონდეს, ჯერ მარტო მდინარემდე სული არ დაჰყვება.—ახლა თქვენ ისა ბრძანებთ, ამისთანა საშიშ გზაზე მატარებელს კონდუქტორებად რა ხალხი დაჰყვება! 14—15 წლისაზე მეტი არც ერთი მათგანი არ არის: არ იციან, იქ რისთვის დაუსვამთ, რა გააკეთონ, რა მოეთხოვებათ. გაჭირვების დროს, იმის მაგივრად, რომ სხვას უშველონ, სხვამ მათ უნდა უშველოს. არა, თქვენს ლხენას, ასეთის ხალხის ხელში მგზავრთ რა ხეირი უნდა დაეყაროს? ნეტავი, ვინიც ჯერ-არს, ამაზე იზრუნოს, რასა ჰფიქრობს? მე თქვენ მოგახსენებთ—თავის მტვრევით ამოცანაა? ეჰ... აბა რა ვსთქვათ!..

დღევანდელ უბედურების მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ ის ვაგონი, რომელზედაც ექიმი იჯდა, უკიდლო იყო, ან როგორც აქ ეძახიან—ვაგონი პლატფორმა, შპლეების გადასატან-გადმოსატანად დანიშნული. განა არ შეეძლოთ ექიმისათვის, რომელსაც დავალებული აქვს რკინის გზაზე დაშავებულ მუშებს ყური უგდოს, ვამბობ ექიმისათვის რა დიდი საქმე იქმნებოდა, ხეირიანი, დაუზიანებელი, კედლებიანი ვაგონი დაეთმოთ, და ამისთანა საცოდაობა არ დაეტრიალებინათ! მაგრამ აქაც „ეჰ!“ უნდა წამოვიძახოთ...

მეტი არ იქმნება თვით ბატონ ჯინორიძეს ვინაობაზედაც ორიოდე სიტყვა ვსთქვით.—ეს მეორე წელიწადია, რაც უნივერსიტეტი გაათავა. ეს ის ჯინორიძეა, რომელიც შარშან ხოლერობის დროს ქუთაისში, მაშინ როცა თითქმის ყველა ექიმები ქალაქიდგან გაიკრიბნენ, თავგამოდებით ებრძოდა ხოლერას და რომელმაც ყველას დაუმტკიცა, რომ მოძმეს გაჭირვების დროს უნდა ძმა და თვისი, თორემ დალხინების დროს ხომ მტერიც თვისიაო. სხვას თუ ჰყავდა ცოლშვილი, ოჯახი შესანახი, ნაკლებ საპატრონებელი და საზრუნველი არც ამასა ჰყოლია: ერთი ძმა—უნივერსიტეტში გამოსაზდელი, ორი—გიმნაზიაში, გასათხოვარი დები, მოხუცებული დედა—ყველანი ამის მზეს ლოცულობდნენ, ამისით სულდგმულობდნენ. მაშასადამე, სხვაზე ნაკლებად დასაფასებელი სიცოცხლე არც ამასა ჰქონია.

— აქ, ჩვენს დაბაში, ეს ნახევარი წელიწადია, რაც დაბინავდა. აქაც მოძმის სიყვარული, კაცური კაცობა —გზის მაჩვენებელ ლამპრადა აქვს გამხდარი. ამ მოკლე ხანში იმდენი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ადგილობრივ მკვიდრთაგან, რამდენსაც ზოგიერთი თავის სიცოცხლეში არა ღირსებია. მადლიანმა ადამიანმა ასე იცის!..

თ. ს.

## ორიოდე სიტყვა შორაპნის მაზრის შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ყველამ იცის, რომ მაზრების გეოგრაფიული, ეტნოგრაფიული, ეკონომიური, არქეოლოგიური და სხვა აღწერა ძლიერ სასარგებლო არის, როგორც მეცნიერებისათვის, აგრეთვე ხალხისათვის. მაგრამ ეგ აღწერა უნდა იყოს საბუთიანი და დაფუძნებული ნამდვილ ფაქტებზედ, რომ მკითხველს ეხატებოდეს ნამდვილი სურათი ხალხის ცხოვრებისა. აღმწერმა თვით უნდა დაიაროს მაზრა, არა ერთი და ორი სოფელი, არამედ უმეტესი, თვით უნდა შეკრიბოს მასალა და არა გაგონებით, თორემ სახლში შეთხზულ აღწერას არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება.

თ. კიკვაძემ დაჰბეჭდა წერილი თქვენს გაზეთში შორაპნის მაზრის შესახებ. წერილში დაუსახელებია შორაპნის მაზრა, აუწერია-კი ათი სოფელი, რომელნიც მდებარეობენ გზაზედ ზესტაფონიდამ ჭიათურამდე. ამისათვის მოსვლია შეცდომები. დასასაბუთებლად ჩვენის აზრისა აი რა უნდა მოგახსენოთ. კორესპონდენტი სწერს: 1) „ნიადაგი შორაპნის მაზრაში თიხნარია“. ნიადაგი შორაპნის მაზრისა კირ-ქვიშოვანია (известково-песчанистая), და არა თიხნარი. ეს ერთი. 2) „ქცევა სახნავ-სათეს მიწაზედ ორთა შუა რიცხვით 15—16 ფუთს სიმინდზედ და ამოდენსავე პურზე მეტი არასოდეს არ მოდის“. ეს რიცხვი, 15—16, ეკუთვნის მარტო იმ სოფლებს, რომლებიც მდებარეობდენ ზესტაფონ და ჭიათურას შუა, ყვირილას პირზედ, ე. ი. ბოსლევს, ჯოყოეთს, კაცხს, ჭიათურას, რგანს, ზედა-რგანს, მღვიმევს, შუქრუთს, ითხვის და პერევისას, რომლების ნიადაგი გაფუჭებულია შავის ქვის მტვერისაგან, და არა მთელ შორაპნის მაზრას, სადაც ქცევა სახნავ-სათეს მიწაზედ ორთა შუა რიცხვით 20—25 ფუთზე ნაკლები სიმინდი და პური არ მოდის. ეს მეორე. 3) „შორაპნის მაზრაში ხე-ტყე იშვიათია. რა ბრძანებაა! ტყის მეტი რა არის აქ? მართალია, ზემოაღნიშნულ სოფლებში არ არის ტყეები, რადგან შავი-ქვის მწარმოებლებს მადაროებისათვის დიდი ხე-ტყე სჭირდებოდათ, ახლო-მახლო ტყეები ჭიათურასთან გაანადგურეს. დანარჩენს სოფლებში საჟენ შეშას 8—10 მანეთად იშოვით. ნუ თუ ეს ნიშნავს ტყის უქონლობას? ჭიათურაში, მართალია, ერთი ღერი ხე ღირს 40 კაპ., რადგან ჩატანა ძვირია.“ 4), სოფ. ჭალის ახლო-მახლო სხვა-და-სხვა მადნეულობამ იჩინა თავი. ს. ჭალის ახლო-მახლო არავითარი მადნეულობა არ გახლავთ. მადნეულობა გახლავთ, ისიც, როგორც ჩვენ გვგონია, მთა-ჭალაში, რომელიც ხოფ. ჭალიდგან კაი მანძილზეა. 5) გლეხის ოჯახი საზოგადოდ წარმოადგენს უბუხრო ფიცრულ სახლს, რომელშიაც შენიშნავთ რამდენსამე სამფეხა სკამს და ან ხის გადანაჭარ მორგვებს „ჯორკოებს“, ცოლის ნამზითევ დამტვერიანებულ ფარდაგს, ქილობს, რამდენსამე „დაწვირიანებულ“ დაბამბულ საბანს და მიუცილებელ წვრილ-წვრილ ხაბაკხუბაკს. ამ ავლა-დიდების პატრონს ცოლ-შვილი სანახევროდ ტიტველ-შიშველი უყრია არა თუ სახლში—შინაურობაში, არამედ გარეთაც-კი. ასე წარმოიდგინეთ, თემობაშიაც-კი შეხვდებით ფეხ-შიშველა ქალებს.“ ვინ არ იცის, რომ აქაურ, იმერელ კაცს, თუ რამე გააჩნია, სულ ჩაცმა-დახურვაზედ და გარეგნულად სახლის მოწყობილობაზედ ელუპება. ეს არის ჩვენი ჭირი. ფეხ-შიშველა ქალებს-კი იშვიათად შეხვდებით. ყაზახს თუ ვერცხლის ქამარი არ არტყია, ძრიელ ძვირად გამოვა თემობაში. და ასე ამ რიგად ჩვენ იმ წერილში რამდენმე შეცდომა ვიპოვეთ და საჭიროდ დავინახეთ მათი შასწორება.

მემამულე იოსებ აბაშიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Нов. Обоз“.-ში დაბეჭდილია წერილი ნ. ნიკოლაძისა კახეთში განზრახულ რკინის გზის შესახებ. ამ ჟამადაო, სწერს ავტორი, ინჟენერები იკვლევენ კახეთის რკინის გზას ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ხარჯით, მაგრამ, ვინ იცის, სასარგებლოდ დარჩება ეს გამოკვლევა თავად-აზნაურობას თუ არა. ამ ხუთ-ექვსის კვირის განმავლობაში უკვე დასრულდება ეს გამოკვლევა და დამზადდება კიდეც პროექტი რკინის გზისა. მაშასადამე, ამავე დროსთვის მზად უნდა იყოს საფინანსო გეგმა რკინის გზისა და სავარაუდო ხარჯთ-აღრი-

ცხვა, რადგანაც თუ გეგმა მზად არ იქმნება, მთავრობა არ მიიღებს თხოვნას კონცესიისას. გარდა ამისა, ამ თხოვნაშივე უნდა იყოს მოხსენებული უმთავრესი პირობები კონცესიისა. რკინის გზის გაყვანის გეგმის შედგენა არც თუ ისე ადვილია, და ამიტომ ძლიერ დიდი შეცდომა იქმნება თავად-აზნაურობამ იფიქროს: გამოკვლევას მოვახდენთ, და მერმე არხეინად დავუცდით მილიონების მოგებასაო. დროა შევიგნოთ, რომ მილიონების შოვნა ადვილი არ არის. ამისთვის საჭიროა ცოდნა, შრომა, მეცადინეობა. თუ თავად-აზნაურობამ ჯერ თითონ კარგად არ გამოარკვია და მერე მთავრობას დაწვრილებით არ მოახსენა, როგორი კონცესია სურს მიიღოს რკინის გზის გასაყვანად, ეჭვი არ არის, რომ ვერც მიიღებს მთავრობისაგან ამ კონცესიას და, რომ მიიღოს კიდეც, რიგიანად ვერ ისარგებლებს. იყო დრო, როცა მთავრობა რკინის გზის კონცესიასთან ერთად რომელსამე საზოგადოებას ნებას აძლევდა თავისივე გარანტიით აქციებისა და ობლიგაციების გამოცემისას. ეს დრო დიდი ხანია წავიდა. მთავრობა ასეთს კონცესიას აღარავის მისცემს და ჩვენს თავად-აზნაურობასაც ამის იმედი არ უნდა ჰქონდეს. მაშასადამე, დარჩა მხოლოდ ისეთი კონცესია, რომელშიაც ყველაფერი გამოთვლილი და გამოანგარიშებული უნდა იყოს.

თავად-აზნაურობამ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოარკვიოს, სურს თუ არა თითონ დარჩეს გაყვანილ რკინის გზის პატრონად? ან იქმნება ირჩევს კონცესია მოსთხოვოს მთავრობას და შემდეგ ეს კონცესია თავის მხრივ სხვას გადასცეს. ან კიდევ შეიძლება თავად-აზნაურობას სურს სახემწიფო ხაზინასთან კერძო საზოგადოებათ ფულით გაიყვანონ გზა. ჩემის აზრითაო, ამბობს ბ-ნი ნიკოლაძე, შეუძლებელია, რომ თავად-აზნაურობამ რკინის გზის გაყვანა მიანდოს კერძო ფულის პატრონთ, განსაკუთრებით უცხოელებს. მთელს რუსეთში ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ფულის პატრონთ ფული დაებანდებინოთ რკინის გზის გასაყვანად, თუ გარანტია არა ჰქონიათ ან მთავრობისა, ან ერობისაგან. ამიტომ მართალია ვინმე რომ დასთანხმდეს უგარანტიოდ რკინის გზის გაყვანას, ეს, ჩემის ფიქრით, სწორედ რომ სასწაულთ მოქმედება იქმნება. ვიმეორებ, უცხოელნი ფულის პატრონები არ იკისრებენ რკინის გზის გაყვანას უგარანტიოდ და, თუ იკისრეს—ფულის პატრონები-კი არა, იკისრებენ მოხერხებული კაცები, რომლებიც ობლიგაციების შემწეობით გაიყვანენ გზას და მერე თავის მოხერხებით ჯილდოდ ფულს ჩაიხრიალებენ ჯიბეში. ასე მოიქცა, მაგალითად, ბელგიის საზოგადოება, რომელმაც ტფილისში ცხენის რკინის გზა გამართა; ასევე მოიქცევა უეჭველად რომელიმე უსახელო საზოგადოება, თუ იკისრა კახეთში რკინის გზის გაყვანა. ამიტომ თავად-აზნაურობას ვერ ურჩევთო, ამბობს ავტორი, მიჰმართოს უცხოელ ვითომ და მდიდარ კერძო კაცებს, რომელნიც ამ საქმისათვის თავის ფულს არ დახარჯავენ. თუ თავად-აზნაურობას არა სურს ან არ შეუძლიან თავის ფულით გაიყვანოს რკინის გზა, სჯობს სრულებითაც ნუ მიჰმართავს გზათა სამინისტროს. დაე, ვისაც სურს და ვისაც შეუძლიან, თითონ გამოსთხოვოს კონცესია მთავრობას და თითონვე იყოს პასუხის მგებელი. თავად-აზნაურობამ-კი არ უნდა იკისროს ამ საქმეში შუამავლობა და თავდებად არ უნდა გახდეს იმ კაცებისა, რომლებსაც სრულებით არც-კი იცნობს.

ხოლო, თუ თავად-აზნაურობასა სურს თავის ფულით გაიყვანოს გზა, საჭიროა ეხლავე მოიფიქროს ყველაფერი და ამ საქმისთვის შესაფერი ღონისძიებაც მოიპოვოს. ჩემის აზრით, ყველაზედ კარგი საშვალება კახეთის რკინის გზის გასაყვანად ის არის, თავად-აზნაურობამ თითონვე სთხოვოს მთავრობას, რომ თავად-აზნაურობამ ხარჯი დაიდოს ამ საქმისათვის საჭირო თანხის შესადგენად. ეს საქმე უეჭველად შემოდგომამდე უკვე უნდა იქმნას გადაწყვეტილი. ამიტომ კომისიამ დრო არ უნდა დაკარგოს და ეხლავე უნდა გადასწყვიტოს, ვისი ფულითა და ვის სასარგებლოდ უნდა გაიმართოს რკინის გზა, და შემდეგ მიჰმართოს მთავრობას და სთხოვოს რკინის გზის კონცესია.

## რუსეთი

მკითხველნი, რასაკვირველია, უწყიან, რომ ამას წინად ახალი კანონი გამოიცა მევახშეობის წინააღმდეგ. გამოცხადდა თუ არა ეს კანონი და დაიბეჭდა გაზეთებში, რუსეთის გლეხმაც იმ წამსვე გაიგო, მევახშეობის წინააღმდეგ ახალი კანონი გამოსცა ხელმწიფემაო. რუსეთის სოფლელი დიდს ყურადღებას აქცევს ყოველ გვარ კანონის შესახებ ხმებსა და ამ კანონებისაგან მოელის ხსნას თავის გაჭირვებულ მდგომარეობიდგან. მაგრამ, საკვირველი ის არის, რომ რუსეთის გლეხთა შორის ყოველთვის გადასხვაფერებულად გავრცელდება ხოლმე ხმა ახალ კანონ-პროექტის შესახებ. როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, ასე მომხდარა ეხლაც, მოვახშეების წინააღმდეგ კანონის გამოცხადების გამო. ერთის გაზეთის კორესპოდენტი სწერს: გავრცელდა თუ არა ხმები ახალ კანონის შესახებ სარატოვის გუბერნიაში, სოფლელები გარს შემოეხვივნენ მოვახშეებს და რამდენისამე წლის წინად ვალში დაკარგული მიწები მოსთხოვეს. მე თითონ ვიყავ მოწმედ შემდეგის ლაპარაკისაო, სწერს კორესპოდენტი. ს. ბალაკოვში ერთს მევახშე ვაჭართან მივიდა გლეხი და უთხრა:

— აი რას გეტყვი, ალექსანდრე ფილიპიჩ! ეხლა ჩვენ კარგად ვიცით, რომ ახალი კანონი გამოვიდა, თქვენისთანა ბატონებზედ... და ამიტომ ძამიავ, გირჩევ ე ჩემი მიწა ისევ მე დამიბრუნო.... გეყოფა ხუთ წელიწადს რომ სარგებლობდი... თუ ჭკუა გაქვს, შენის ნებით მომეცი ჩემი მიწა, თორემ, ხომ იცი, აგერ ახალი კანონი გამოვიდა და ძალით წაგართმევ... რაც კანონით არის დაწესებული, უნდა იმაროო... კანონშიაც ხომ ასე სწერია... სულ 16 ფუთი ჭვავი არ მასესხე?.. ფუთი ორი აბაზი, იზამს მანათსა და 40 კაპეიკს. ამ ფუთში $5^1/_2$ დეს. მიწა წაგიღია და, აგერ 5 წელიწადია, სარგებლობ. აბა კარგა დათვალე. დესიატინა წელიწადში ხომ 5 მანათი ღირს. ეს იზამს 5 წელიწადში ას ოცდა ჩვიდმეტ მანათსა და 40 კაპეიკს. შენი-კი სულ 6 მანათი და 40 კაპ. მემართა. არ გეყოფა ეს სარგებელი? იწამე ღმერთი, დამიბრუნე მიწა, თორემ სულ ერთია, ახალ კანონით მაგ მიწას ისეც წაგართმევ. დასასრულ გლეხმა მოვახშე ვაჭარს ერთის კვირის ვადა მისცა, მოიფიქრე კარგად და მიწა დამიბრუნე, თორემ ვიჩივლებო. რა უპასუხა ამაზედ ალექსანდრე ფილიპიჩმა, კორესპოდენტი არას ამბობს.

## უცხოეთი

თითქმის ყოველ დღე დეპეშით გვაუწყებენ, რომ საფრანგეთსა და სიამს შორის შეტაკება მოხდა და საქმე ლამის მეტად გამწვავდეს.

სიამის სახელმწიფო, ანუ, როგორც თვით სიამელები თავის თავს უწოდებენ, სამეფო შვიდკუთხიანის სამზეურისა და თეთრის სპილოსი, მდებარეობს აზიაში, ინდო-ჩინეთის ნახევარ კუნძულზედა. ერთს მხარეს ინდოეთი საზღვრავს, რომელიც ინგლისს ეკუთვნის, და მეორე მხრივ საფრანგეთის სამფლობელო.

სიამი წინად ჩინეთის მოხარკე იყო, მაგრამ შემდეგ თვით ჩინეთმა დასთმო და თავისუფლება მიანიჭა, რადგანაც ბევრი გამორჩენა არა ჰქონდა-რა და სრულს დამორჩილებას-კი ვერ ახერხებდა.

თუმცა, ამ სახით, სიამი დღეს თავისუფალია, მაგრამ ორ ევროპის სახელმწიფოთა სამფლობელოს შუა მომწყვდეული თავს უშიშრად ვერ ჩასთვლის და ანამ-ბირმანის ბედს უნდა მოელოდეს. ბედი მხოლოდ იმითი სწყალობს სიამსა, რომ ორი ძლიერი მეზობელი ერთმანერთს ერიდებიან და სიამის თავისუფლებას ვერ შეჰხებიან. პირიქით, ერმანეთის ჯიბრით, სიამს ეხმარებიან კიდეც. ინგლისი თავის სურვილს არა ჰმალავს, რომ უნდა მთლად ინდო-ჩინეთის ნახევარ კუნძული ხელთ იგდოს, და აქეზებს სიამს საფრანგეთს ყველაფერში წინააღმდეგობა გაუწიოს და, როგორც-კი შეიძლება, უმტროს კიდეც. საფრანგეთი რომ ამის გამო ხმას ამოიღებს, ინგლისი გამოესარჩლება სიამს და სცდილობს საფრანგეთი დააშოშმინოს, ან სხვაფრივ შეაფიქრიანოს. ჯერ იმით აშინებდა ინგლისი საფრანგეთს, რომ სიამი ჩინეთის მოარკე არისო და თუ მისი დაჩაგვრა, მოინდომე, მის სიუზერენს—ჩინეთს გადიკიდებ, იმასთან დაჭირდება გამკლავებაო. ეს, რასაკვირველია, საფრანგეთს ვერ შეაშინებდა, იმან ინგლისზედ არა ნაკლებ იცის სიამისა და ჩინეთის დამოკიდებულობა. თუმცა საფრანგეთი სიამს არა ვითარ შევიწროებას არ აყენებდა, მაგრამ სიამელები-კი, ინგლისით წაქეზებულნი, საფრანგეთს არ უსვენებდნენ.

ამას წინად სიამელები საფრანგეთის სამფლობელოში გადავიდნენ და ერთი ადგილი დაიჭირეს. საფრანგეთის წარმომადგენელმა შეუთვალა, ეხლავე განვედით ჩვენს საბრძანებლიდგანაო. სიამელებმა ყური არ შეიბერტყეს. მაშინ ფრანგებმა დაატყვევეს სიამის ჯარის უფროსი და გაჰგზავნეს ქ. მეკონგში. გზაში სიამელები დარაჯს დაეცნენ, მოჰკლეს უფროსი გრანგიურენი, მძიმედ, და სხვებიც დახოცეს. შემდეგ გაპოჯიშიაც შეცვივდნენ, ფრანგები გაჟლიტეს და მრავალ ნაირი მხეცობა ჩაიდინეს, რაც დეპეშით უკვე ვიცით.

საფრანგეთს ნება აქვს მდინარე მეკონგზედ ხომალდები თავისუფლად ატაროს. ამას წინად საფრანგეთის ხომალდი მიდიოდა ამ მდინარეზედ და მოულოდნელად სიამელებმა ზარბაზნები დაუშინეს. ფრანგებმაც შესაფერი პასუხი გასცეს და მაინც წინ წავიდნენ ბანკოკამდე, რომელიც სატახტო ქალაქია სიამისა

საფრანგეთი ეხლა თხოულობს სიამის მთავრობისაგან დაკმაყოფილებას და სიამიც წინააღმდეგობას ვერაფერს გაუწევდა, საქმეში რომ ინგლისი არ ჩარეულიყო. ინგლისი სცდილობდა სულ სხვა ნაირად აეხსნა მომხდარი ავკაცობა სიამელთა, გაჰმართა დიპლომატიური მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება, საფრანგეთთან ემუქრება კიდეც ხომალდებს აგიფეთქებთ მდინარე მეინამზეო, მაგრამ საფრანგეთი თავისას არ იშლის და მოწადინებულია სამაგალითოდ დასაჯოს მშვიდობიანობის დამრღვევი და ავკაცობის ჩამდენი სიამელები. დღითი დღე საქმე უფრო მწვავდება.

## წვრილი ამბავი

ამ ცოტა ხანში პრაგას მივიდნენ პარიჟის გამოჩენილი მექანდაკენი ბარრიას, მერსიე და ნოელი. ესენი შეეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უფრო საუკეთესო ძეგლს დაამზადებს იან გუსისასაო.

— ვილჰელმ II-ს განუზრახავს, რომში დააარსოს გერმანელთათვის სამხატვრო აკადემია. იმპერატორის ელჩს უკვე შეუსყიდნია ფარნეზინის სასახლე, რომელიც რაფაელის აშენებულია.

— ამ ჟამად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ ანრი რენანი, შვილი ცნობილის რენანისა. ანრი რენანი კრიტიკულ სტატიების საწერად მიიწვიეს ინგლისის უპირველეს ჟურნალში.

— წელს ნოემბერში პარიჟის საისტორიო და საბუნებისმეტყველო მუზეუმი იდღესასწაულებს ასის წლის იუბილეს თავის არსებობისას. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის უკელა ნატურალისტები. დღესასწაულისათვის მთავრობას გადადებული აქვს 40,000 ფრანკი.

— ინგლისის საზოგადოებათა პალატამ განიზრახა ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ ინდოეთში ხაშიშის გასყიდვა აკრძალოს. ამის გამო 30 ივნის პალატას კრება ჰქონდა და გლადსტონის სარჩიელით, ამ საგნის გამოკვლევა მიანდეს განსაკუთრებულ კომისიას.

## გასართობი

დორტმუნდში (ვესტფალიაშია) ამას წინად სასამართლომ გაარჩია ერთი ფრიად სამძიმო საქმე... ბუზზედ. ერთი დორტმუნდის მცხოვრებელი მ... დაანამძლევა რესტორანის პატრონს, რომ შემიძლიან ერთი ტომარა ბუზი მოვიტანო, წონით 50 გირვანქა და ამაში 150 მარკა გადაიხადეო. ორის კვირის შემდეგ რესტორანის პატრონს მიუვიდა უწყება რკინის გზისა, მაგრამ არ მიიღო. მაშინ მ... უჩივლა სასამართლოში და რესტორანის პატრონს 150 მარკა გადაახდევინა. ახლა იკითხავთ თუ სად და როდის დაიჭირა ამდენი ბუზებიო? სულ ადვილად! ამერიკიდგან დაიბარა 50 გირვანქა გამხმარი ბუზი. იქ ხომ იმისი ვაჭრობაც არის!

მაგრამ ეს ტომარა საბაჟოს მოხელეებს უფრო გაუხდათ თავში საცემად: მათ არ იცოდნენ, როგორ ჩაეწერათ დავთარში, რა სახელით. ბოლოს, დიდის ფიქრის შემდეგ, ჩასწერეს: მივიღე 50 გირვანქა „უცხოეთის ნადირიო"!..

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშვალებით, გულითადი მადლობა გამომიცხადებინოთ ჩემსა და ჩემდა მონდობილ მრევლის მხრივ თავად ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს მუხრან-ბატონისათვის, რომლის თაოსნობით იყო გამართული წარმოდგენა და ნასყიდი შემოსავალი იყო გადადებული ჩემდა რწმუნებულის დუშეთის მაზრის სოფელ ყურის-უბნის წმიდის გიორგის ეკკლესიის სასარგებლოდ.

მღვდელი ალექსანდრე ტაბლიშვილი
11 ივლისს 2893 წ.
სოფ. ყურის-უბანი.

## დეპეშა

14 ივლისი

**პეტერბურგი** გამოცხადებულია განკარგულება შესახებ იმისა, რომ კავკასიის რკინის გზის საზოგადოებას მიენიჭოს უფლება სადგურ კავკაზსკაიდგან ქ. სტავროპოლამდე რკინის გზის შტოს გაყვანისა და დამტკიცებულ იქმნას მეორე დამატება ამავე საზოგადოების წესდებისა. „Нов. Время" იუწყება, განზრახვა აქვთ ციმბირის რკინის გზის ლიანდაგის სიგძეზედ ადგილები დაურიგონ გადმოსახლებულთ, თითო სულზედ 15 დესიატინა; ადგილების დარიგებას შეუდგებიან მას შემდეგ, როცა გაიჯვნა დასრულდება. ამ საქმისთვის დანიშნულ არიან საგანგებო მოხელენი. „Гражд". იუწყება რომ წელს საარტილერიო სასწავლებლში სრულიად არ მიიღებენ გიმნაზიებსა და რეალურ საწავლებელებში სწავლა დამთავრებულებს; მიიღებიან მხოლოდ კადეტთა კორპუსებში სწავლა დამთავრებულნი. ნიკოლოზის საინჟინერო სასწავლებელში სულ ცოტა ადგილია საშვალო სასწავლებლებში სწავლა-გათავებულთათვის; ვისაც მიიღებენ, თავიანთ ხარჯით უნდა ისწავლონ.

**მოსკოვი.** ბრესტის სადგურზედ გახსნეს ერთი ყუთი, 2 ივლისს მოსკოვიდგან გაგზავნილი, რომელშიაც აღმოჩნდა დედაკაცის თავმოჭრილი გვამი პერანგის ამარა.

**ლონდონი.** ჩინეთის მთავრობა ძლიერ გაკვირვებულია, საფრანგეთი რად იჩემებს მდინარე მეკონგის მარცხენა ნაპირსა, მაშინ როდესაც ამ მდინარის ორივე ნაპირი ჩვენ

გვეკუთვნისო. საფრანგეთის მოწინააღმდეგე დასი სცდილობს წააქეზოს მთავრობა, დაიცვას თავისი საკუთარი ინტერესები.

**ბერლინი.** ახალ-კანონმდებლობის გამოცხადებამ, რომლის ძალითაც შემოღებულ იქმნა რუსეთის სამაქსიმალო ტარიფი, ძლიერ შეაფიქრიანა აქაური ბირჟა და ძლიერ დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთ რკინის გზების ფასიან ქაღალდების კურსზე. გაზეთები ამბობენ, რომ გერმანიის ვაჭრობას უცხოელებთან ზარალი მიემატებაო; ზოგი გაზეთი ამბობს, რომ გერმანიის მხრივ შესაფერი ღონის ძიება იქმნება მიღებულიო. ჰფიქრობენ, რომ აწინდელი ვითარება საქმისა სასარგებლო იქმნება მხოლოდ ავსტრიისთვის, რომელსაც ეხლა მოლაპარაკება აქვს რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ და ამ მოლაპარაკებამ შეიძლება განსაცდელშიაც ჩააგდოს ავსტრიის ერთგულება სამთა კავშირისადმიო.

**პეტერბურგის ბირჟა, 13 ივლისი.**

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გარიგე-ბისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,60 | 7,70 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 153½ | 154 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224¾ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | ,, | 101½ | ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 101½ | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98¾ |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით-ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

## განცხადებანი


# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—79)


ქ. ტფილისის მართ-მადიდებელთა ქუქის სასაფლაოს, მოციქულთა სწორ წმ. ნინოს ეკკლესიის ამშენებელ სამზრუნველომ, შემოაკლო-რა ამ მდგომიარე წლს სასაფლაოს ქვით-კირის გალავანი, განიზრახა ააგოს სასაფლაოს ეკკლესიაც, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სახურო-მოძღვრო განყოფილების გეგმის თანხმად. ამ ეკლესიის აშენება კარაუდით დაჯდება 14 ათას მანათზედ მეტი.

ვინაიდგან სამზრუნველოს არ მოეპოვება ტაძრის ასაგები ფული, მიჰმართავს ყველას, ვინც-კი თანაუგრძნობს ამ სასაფლაოს განკარგების საქმეს, არ დაიშუროს თავისის წვლილის შეწირვა და მით მისცეს სამზრუნველოს საღსარი ეკკლესიის აგებისა.

მზრუნველობა სთხოვს ყველას, შემოწირულება გაუგზავნოს სამზრუნველოს წევრ-ხაზინადარს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ალექსი ანტონის ძეს სემენნიკოვს, ამ ადრესით: ქუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 44, ან იმისავე სახელობაზედ მთავარ-მართებლის კანცელარიის სამხედრო ოლქთა გამგეობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ. (6—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი ვრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ჰამლეტი, მისივე . . . | „ | 30 |
| მაკბეტი, მისივე . . . | „ | 40 |
| რიჩარდ მესამე, მისივე. . | „ | 40 |
| მეფე ლირი, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა. . . . . | „ | 60 |
| ლექსები ალ. ჭავჭავაძისა. | „ | 30 |
| პატარა კახი აკ. წერეთლისა. . . . . . | „ | 50 |
| სამგვარი სიყვარული, მისივე . . . . . . . | „ | 30 |
| სალამური, მისივე . . . | „ | 15 |
| ძირითადი უკულმართობა, ი. გოგებაშვილისა . . | „ | 20 |


# გამოსადეგი ცნობანი
# პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

# ძღძლო თუთაევის
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნებისშოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—26) ალ. თუთაევი

# VÉRITABLE BÉNÉDICTINE
(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის




VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**ი ყ ი დ ე ბ ა** საუკეთესო გასტრონიმიის მაღაზიებში ჲ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

